კურსდამთავრებულთა კვლევა

2022 წელს ჩატარებული კურსდამთავრებულების კვლევა

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2022-2023 სასწავლო წელს ჩატარდა კურსდამთავრებულების კვლევა, რომლის ძირითადი მიზანი კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლების იდენტიფიცირება სპეციალობით ან არასპეციალობით; საგნმანათლებლო პროგრამის მოცულობით, პროგრამის სწავლის შედეგებით კმაყოფილების გამოვლენა იყო.
კვლევაში მონაწილეობა მიიღეს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების 67 კურსდამთავრებულმა. კვლევაში დაახლოებით 15% „ქართული ფილოლოგიის“, 15% „ინფორმაციული ტექნოლოგიების“, 15% „ინგლისური ფილოლოგიის“, 15% „ეკონომიკის“, 20% „საჯარო მმართველობის“, 5% აგრონომიის“, 15% „საქართველოს ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულები იყვნენ.
გამოკითხვაში მონაწილეებიდან 12 კურსდამთავრებული აღმოჩნდა დაუსაქმებელი, ხოლო 55 - დასაქმებული. ქვემოთ ჩამოთვლილია დამსაქმებელი ორგანიზაციების არასრული ჩამონათვალი, სადაც დასაქმებული იყვნენ სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები:
„ჯი დი სი სჯ;
საჯარო სკოლა;
Mixiao Education;
ახალციხის რაიონული სასამართლო;
ფრილანსი;
თიბისი ბანკი
,,ინტელ-აგრო-სერვისი";
სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის საყუნეთის საჯარო სკოლა;
ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელი სვირის საჯარო სკოლა;
ასოციაცია ტოლერანტი;
Mixiao education;
ახალციხის რაიონული სასამართლო;
ინდმეწარმე;
კრედო ბანკი;
Pil&pet menegeri;
სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი;
ააიპ "ღია საზღვრები" , ჯავახეთის საინფორმაციო ცენტრი;
Liberty bank;
სს საქართველოს ბანკი;
სის ბიზნეს სერვისი;
კიროვაკანის საჯარო სკოლა;

ვმუშაობ მაღაზიაში გაყოდვების კონსულტანტი ვარ;
კრედო ბანკი;
ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ აბულის საჯარო სკოლა;
და სხვ.

კურსდამთავრებულების მიერ დაკავებული თანამდებობების ჩამონათვალის არასრული სია:
აიტი სპეციალისტი;
პედაგოგი;
მასწავლებელი;
ქსელის ადმინისტრატორი;
ვებ დიზაინერი;
აგრონომი;
აგრონომი;
მასწავლებელი;
პედაგოგი;
მასწავლებელი;
პროექტების ასისტენტი;
პედაგოგი;
პედაგოგი;
ქსელის ადმინისტრატორი'
განვადების ოფიცერი;
სადაზღვევო პროდუქტების გაყიდვის აგენტი;
მენეჯერი;
გაყიდვების კონსულტანტი;
გაყიდვების ოფიცერი.

კითხვაზე - კმაყოფილი ხართ თუ არა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო მოცულობით და შედეგით.
93,5%-მა დააფიქსირა კიმაყოფილება, ხოლო 6,4%-მა - ნაწილობრივი კმაყოფილება.

კითხვაზე - შეხვდით თუ არა სირთულეებს სამუშაოს მოძიების პროცესში?
დაახლოებით 65%-მა დააფიქსირა, რომ სირთულეებს არ შეხვედრიან, ხოლო 35% წერს, რომ იყო გარკვეული გამოწვევები.

კითხვაზე - რომელ წყაროებზე დაყრდნობით, რა გზებითა და მეთოდებით მოიძიეთ სამსახური (ინტერნეტი, გაზეთი, ტელევიზია, პირადი კავშირები დაა.შ.), მრავალფეროვანი კომენტარები იყო. კერძოდ,
ინტერნეტის საშუალებით (ახლობლობით არა 😄);
პირადი კავშირები;

ინტერნეტი, პირადი კავშირები;
ინდივიდუალურად;
კომპანიის ხელმღვანელმა მომიწვია სამუშაოდ;
ასეთი ინფორმაციების შესახებ ინტერნეტში დევს ყველაფერი;

კითხვაზე - კვალიფიკაციის მიღების შემდეგ დროის რა პერიოდში დასაქმდით?
დავსაქმდი სწავლის მერე ორი წლის განმავლობაში. ორი წელი არ მქონდა სამუშაო. არ იყო ვაკანსიები.
მე-3 კურსის მე-2 სემესტრიდან დავიწყე მუშაობა.
სწავლის პერიოდიდან ვმუშაობდი;
1-2 თვეში ძალიან მარტივად;
1 აგვისტოდან, ანუ კვალიფიკაციის მიღების შემდეგ ორ კვირის განმავლობაში.
ათ დღეში, მენეჯერი;
დასაქმებული ვიყავი.

კითხვაზე - საკმარისია თუ არა თეორიული/სალექციო და პრაქტიკული კომპონენტებით მიღებული ცოდნა, კურსდამთავრებულთა 83,9% პასუხობს, რომ სრულიად საკმარისია, ხოლო 16,1% არ არის საკმარისი.

კითხვაზე - რამდენად პასუხობს თქვენს მიერ მიღებული თეორიული ცოდნა იმ მოთხოვნებს, რომლებიც აუცილებელია სამსახურეობრივი მოვალეობების ეფექტურად შესრულებისთვის?
რესპოდენტთა 67,7% აფიქსირებს მოსაზრებას, რომ სავსებით პასუხობს, 29% - ნაწილობრივ პასუხობს, 3% - არ პასუხობს.